



# მშენებელი

№ 45

მ ა თ რ ა ნ 1917



ჩევილიუცია. აბა რას ვიფიქრებდი, თუ რუსეთი ასე მოუმზადებელი იყო ჩემს შესახვედრათ!

თფილისი, 6 ნოემბერი. 1917 წ.

„თუ თავი შენი თან გახლავს, ღარიბათ არ იხსენებ“—ო, უთქვამს ბრძენს.

ჩინებული ნათქვამია!

და ყოველგვარ ჩინებულ ნათქვამს აგრეთვე ჩინებული გამგონეც სჭირია!

არსებითად ამ ბრძნულ თქმულებას... ორის თვალთახედვის წერტილის ისრით შეგვიძლია შევხედოთ: ჩვენ შეგვიძლია მსჯელობა ვიქონიოთ ნამდვილი, ფიზიკური თავის თანხლებისა და აგრეთვე თავის, როგორც ასეთის, შესახებ.

ყველა რევოლიუციისა აქვს ისეთი ხანა, როცა მკითხველთა და მოაზრთა უპრავლესობა პირველი თვალთახედვის წერტილზე სდგას და ამ ბრძნულ თქმულებას უკვდავი შოთა ბრსთაველისს ხსნის „ნამდვილი თავის“ ტარების, ანუ თანხლების მიხედვით.

ვის არ მოეხსენება, რომ საფრანგეთის დიდ რევოლიუციამ ამ საკითხის გადასაჭრელათ ცალკე ტენიკური საშუალებაც მოიგონა. ეს საშუალება გახლდათ გილიოტინა. აღნიშნული იარაღი პირდაპირ სჭრიდა „თავისა შენის“ თანხლების საკითხს და ეს გადაჭრა იმდენათ განმარტივდა და გაიფადა რომ „ჩირადაც“ აღარავინ აფასებდა.

რუსეთის რევოლიუციისა, როგორც უფრო გაღრმავებული, აღნიშნულ ბრძნულ თქმულებასაც ღრმით ჩაუვირდა. აქ „თავისა შენის თანხლების“ შესახებ უფრო კოლექტიური შეხედულება გამეფებული. ეს შეხედულება არ არის საერო, არამედ სამხედრო. სარევოლიუციო კანონით რასაკვირველია ნებადართულია „თავისა შენის თანხლება“ ყოველგვარ შემთხვევაში, მაგრამ რევოლიუციონურ ჯარს, თუ მცირე საბაბი მიეცა, ვერაფერ დაუშლის სამუდამოთ ავტორიტეტს „თავისა შენის თანხლება“. მართალია თვით საშუალებანი ამ კითხვის გადასაჭრელათ რუსეთში უფრო პრიმიტიულია და გილიოტინის მახვილი დანის მაგიერობას ჩლუნგი ქურჩის ქვა, თუ კეტის ნამტვრევი ასრულებს, მაგრამ ძირითადი პრინციპი დაცულია.

ჩვენდა საუნებრით უნდა ითქვას ისიც, რომ რაც დრო გადის, რევოლიუციონური ჯარი თანდათან ეჩვევა ამ საკითხის გადაჭრას სხვა და სხვა

ოსტატურათ მოგონილ საშუალებებზე. შეიძლება შორსაც არ იყოს ის ნეტარად დრო, როცა ვაუ-მჯობესებული ძველი ფრანგული იარაღი საბოლოოთ გამოარკვევს „თავისა შენის თანხლების“ საკითხს, ზოგიერთ, უფრო ორტოლოქსალურ ფრთას რვეოლიუციონურ კლასებისს, ჩქარის ნამაჯით მივეყვართ ამ ტენიკის განვითარებისაკენ.

## კველ-ქალი

ჩვენი ქვეყნის წინა დროში, (სად ვერ სძლედა სინდის გროში) როცა ხალხი მტერთან ბრძოლას არ არჩევდა მთვრალი ძრწოლის, მაშინ შობდა ერი გმირებს, ისეთ ისტორიულ პირებს, ვით თორნიკე, გიორგისა \*). ეს ამბავი მრავალ წლისა მე იმითმ მომავონდა რომ განძრახვა სხვა რამ მქონდა: აწმყო დროში, არ მეგონ, თუ ეს ხალხი (ოქროს მონა) კვლავ აღზრდიდა ერის სარდლებს მოხსენებულ გმირთა ბაღლებს \*\*) არა მარტო კუხუხ ერის, მრავალ ქვეყნის, მრავალ ფერის, ვინც მტერთაგან მონადენი ბრბოთა რისხვა გადიტანა, ვინც მხაგვრელთა ზარი დასცა და ჩაგრულთა წყლული ჰმანა, მშრომელთა და ტვირთ მიძიმეთა შეაერთა ეს ქვეყანა დემოკრატთა თორნიკობა არ შეფერის იმას განა?

ვინაც კიდევ სიყრმიდანვე მტერთან ბრძოლა განიზრახა,

\*) ერისთავი და სსაკაძე.

\*\*) თუ არ ვცდები, აწინდელი წაჭლებს თითო აღლებს.  
ეშმაკი.



ეროვნული  
ბიულეტენი

# მ ა ტ რ ა ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

## ორი სტუმარი.

ვინაც თვისი იდეალი  
 ბეჩავ, მშრომელ ხალხში ნახა,  
 ვინც იმთავით გამოვიდა  
 ცხად უსწორო ბრძოლის ველზე  
 სადაც მუდამ მოელოდა:  
 ხუნდი ფეხში, თოკი ყელზე,  
 ვინაც ყველა დაბრკოლება  
 მამაცურათ გადიტანა  
 ვის სიბრძნესთან, რაინდობაც  
 განუყრელათ ახლავს თანა,  
 ვისზეც ქვეყნის ლაპარაკი  
 საამყოთ გვესმის ხშირათ,  
 ვინაც ხალხმა მართლა დასვა  
 თავის ქვეყნის ოქროპირად\*),  
 დემოკრატთა საცაქმეთ  
 ვფიქრობ იგიც გამოდგება  
 თუ ამ გვიარი შეფარდების  
 მე ეშმაკა მომცა ნება.

ვითა ბრიყვმა, ამ ბელადებს  
 ერთი რაზე უნდა ვსთხოვო:  
 მკითხველთათვის სასაცილო  
 ეშმაკისთვის საუცხოვო:  
 ეს სარდლები მტერზე მისვლას  
 სხვა და სხვა გზით\*\*) რომ ამბობენ  
 შეერთებას გაუბრძიან  
 და ერ. მანეთის არ უთმობენ  
 ჩვენ იმათი ლაშქრის კაცებს  
 სხვა და სხვა გზა აღარ გვიჩინა,  
 ვით მიზანი, გზაც ერთი გვაქვს,  
 ნათელი და სწორი, წმინდა.  
 დაე ამ გზით გავიძიებთ,  
 ბელადებო, გასწით წინა!  
 მაშინ ნახეთ თქვენი ლაშქრის  
 მტერზე მისვლა და ყიფინა.

ბუტუნა

გული ქართლისა, ქალაქი გორი განსაკუთრებულ ფაციფუცშია.

მორწმუნე ქართველობა დღეს, დილის მატარებლით შოელის მისს უწმინდესობას, ახლად-არჩეულ კათალიკოს-პატრიარქს—კირიონ II-ს, ხოლო სოციოლისტური ნაწილი ქალაქისა, დღესვე, შუადღის მატარებლით, შოელის საყვარელ დეპუტატს და დღეს ლექტორათ მოწვეულს აკაკი ჩხენკელს. დამერწმუნებით, რომ ჰქონია ხალხს მიზეზი ფაცა-ფუცისა და მღვლეარებისა.


დილის ათი სათიდან უკვე იწყოა დენა სადგურისაკენ ძველებური ჩიხტი-კობით შორთულ ქართველ დედათა ჯგუფებში. ნელის, მაგრამ დაბანისლური ნაბიჯით მიჭმარებებიან ისინი სადგურისა-

და სარდალი ხელოვანი,  
 შტერზე რისხეთ ანამრეცი  
 სხვა და სხვა მხრით უტუქს ორგულს  
 სხვა და სხვა გვარ მახეს უგებს  
 და ნუ ვიწყნებთ: ჯარის კაცი  
 ხშირად ზრახვას თუ ვერ უგებს.  
 დღეს ბატონობს პოლიტიკა,  
 ხვალ ტაქტიკა, სტრატეგია...  
 ზოგჯერ სრულა გამარჯვება  
 უაქმბევის შედეგია.  
 იქ ერთი სწუგატავს საკითხს  
 და სტესს ორგულს ჯიჟურ ძეგრვა,  
 მაგრამ ზოგჯერ უმჯობეს არს  
 თავის მოგლა, ფრთხილად ზვეგრვა.  
 ამიტომაც, მეტობანო,  
 სხვა და სხვა გზა ნუ გვალნებს  
 თუ კი ბრძოლის ხელმძღვანელი  
 თვით სოფლიმონს მოგვატანებს.

ეშმაკი.

\*) თუ სახეში არ მივაღებთ  
 „საქართველოს“ „რუს ინვილფოს“  
 ვინ უყვარის სარბს და ლაზის  
 რაც რომ უნდა იზინილფოს.

\*\*) დღევანდელი ბრძოლის პროცესს  
 მრავალი აქვს, მანო, გეპო,



კენ, სადაც ერთი საათის შემდეგ უნდა ჩამოდგეს სალონ-ვაგონი მისი უწმინდესობის, კირონ მეორისა. აქა-იქ შამაკალები მოსჩანან, მაგრამ ისინიც უფრო ხნიერნი, ღინჯი და დარბაისელნი. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ პატივისმცემელთა უმრავლესობა იმ პასპეში მდგომოთაგან შესდგება, რომელთაც უკვე გადაიარეს ამქვეყნიური შუათინი ცხოვრების უღელტეხილი და დღიურ საკითხთა წესრიგში საკითხი იმ ქვეყნიური სასუფეველის შესახებ პირველი აქვთ გამოკომული.

აქვე რამოდენიმე ნაციონალ-დემოკრატიული ინტელიგენცია და აგრეთვე ოფიციალური წარმომადგენელი ქალაქისა, ახლად არჩეული მოურავი გორისა სერგო I. სასოება და კრძალვა ძვირფასი სტუმრის წინაშე უკვე გამოპკრთის დამსწრეთა სახეზე, თუმცა მატარებელი ეს ესარი მხოლოდ გრაკალის სადგურიდან უფლისციხისაკენ გამოემართა.

— ნეტავ რაინარია ყოვლად წმინდა კათალიკოსი? — ცნობის მოყვარებით შეეკითხა კნენა დარჯენი თავის მეზობელ მთავარ-ლიაკოსს.

— რა მოგახსენოთ. დაბალი და მსხვილი კაციოა, გვგრევათამიანი.

— მობუცია?

— არც იმდენათ. ჯეელი შეხედულება უნდა ჰქონდეს.

— ასეთი დიდებული პირები არა ხუცდებიან. ავტორიტეტულად შენიშნა ერთმა ინტელიგენტმა

— ნეტავ ერთი ჩქარა მოვიდეს, ვნახოთ მაინც ჩვენი მოქარნახულე-უმიმედოთ ჩილაპარაკა მეორე მობუცმა კნენამ.

ხალხი სადგურის წინ ჩამწყვრიდა. უკვე მატარებელმაც დაიკვილა და ნელის ზღაზენით ჩამოწვა სადგურის წინ. ყველას თვალი სალონ-ვაგონს მიექცა. ქალაქის თავი და მოძღვართა უხუცესი პირველი ავიდენ ვაგონის კიბეზე ლოცვა კურთხევის მისაღებათ. ყოვლად-სამღვდელო, უწმინდესი კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა კირონ II, კარებში გამოეგება მათ. ქალაქის თავი პირველი ემზორა მას კურთხეულ ხელზე და სიტყვის თქმად მოემზადა, მაგრამ დახეთ მის განცვიფრებას: კათალიკოსი თანახმად ახალი კანონისა საერო ტანისამოსში, მორთული გამოდგა. მას წინა სუფთად ჰქონდა მოპარსული და ნიკაბის კენწეროს მხლოდ პატარა ბუნანცე უმშვენებდა.

მას სალაც ენახა ეს სახე, ენახა ერთგვარად ვერ მოეგონება. სასულიერო ექსტაზით შეპყრობილი ამხანგი სერგო გორის მოურავი მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოერკვა. ის დარწმუნდა, რომ მის წინაშე იდგა უტილოზლად დებუტატი აკაკი ჩხენკელი და არა კათალიკოსი კირონი.

აკაკი ჩხენკელი განსაკუთრებულს განცვიფრებით გასცქეროდა შესახვედრათ მოგროვილ ხალხს. რამდენი უმზავრია მას და არსად ასეთი განსაკუთრებულ შემადგენლობის ხალხი არ დახვედრია. მოხუცი თავზურიანი ქალები, დიაკვნები, მთავარ-ლიაკნები და ნაციონალ-დემოკრატიული ინტელიგენტები იშვიათად გამორევიან მის მსმენელებში. წითელ დროშებსა და მუშა ხალხს მიჩვეულს ძლიერ ეუცხოვა საეკლესიო დროშების ფრიალი და სასულიერო ელფენი შეხვედრისა. ის ჩვეულებრივი სიღინჯით ჩამოვიდა ბაქანზე და ნელის ნაბიჯით გაემართა ქალაქისკენ. მნახველნი ცნობის მოყვარებით აცილებდენ თავისს საყვარელ კათალიკოს-პატრიარქს, თუმცა მისი საერო ტანსაცმელი ცოტა არ იყოს ეხამუშებოდა მორწმუნეთათა თვალს.

ორ სათვე სადგურის უბანში მუშათა რაზმები ჩამოდგენ. გააჩნდა წითელი დროშებიც. მარსელიოზის სიმღერა, თუმცა არეულოთ, მაგრამ მაინც გაისმის და მომავალ მატარებლის გუგუნს უერთდება. რამოდენიმე ნაფიცი ორატორი უკვე მზათ არის, რომ საყვარელ სტუმარს, დებუტატ აკაკი ჩხენკელს შესაფერო სიტყვით მიმართოს და გორის პროლეტარიატის ვითარება გაავებოს. მილიციონერები ჩვეულებრისამებრ წესრიგს იცავენ.

აი მატარებელიც ჩამოდგა. ხალხი უფრო მჭიდროთ შემოერთტა სალონ ვაგონს და ისწრაფის შიგ შექრას. სადგურის წინ მყისვე აღიპართა ხელოვნური ტრიბუნა, რომელზედაც ძვირფასმა სტუმარმა პირველი სიტყვა უნდა წარმოსთქვას. რამოდენიმე მკლავ-მაგარი მუშა უკვე შევიდა ვაგონში და ხელში აყვანით ჩამოსვეს პირველი სტუმარი გორისა და ტრიბუნაზე მოათავსეს...

მაგრამ დამსწრეთა გაოცებას საზღვარი არა აქვს. აკაკი ჩხენკელი მათ წარმოდგენილი ჰყავდათ



ერის კაცად, აქ კი მათ წინაშე იდგა მღვდელთ მთავარი, მოხუცი და წვერ ხელ-უხლები.

— ეს სხვა ვინმე უნდა იყოს- კრძალვით წარმოსთქვა ერთი უფრო გაბედულმა პროლეტარმა და ეკვის გველი დაჰხადა მსმენელთა გულში.

ყოვლად სამღვდელთ კათალიკოზ-პატრიარქი სრულიად საქართველოსა კირიონ მეორე, ალტა-ცებით შესტკეროდა სარწმუნოებრივი გრძნობით აღფრთოვანებულ გორის დემოკრატის მას ძლიერ სასიამოვნოთ ჰქონდა წითელ დროშათა ფრიალი, მაგრამ როგორც ივერიის ეკლესიის მამას გულს უღრღინდა ის გარემოება, რომ არც ერთი მღვდელი, არც ერთი დიკანი მას არ შეეგება; რომ აქ, წითელ დროშასთან ერთად არ ღელავდა საეკლესიო დროშაც.

კათალიკოსიც ნელის ნაბიჯით გაემგზავრა გორისაკენ და ალტაცებულ მხილველთ ძლიერ აკვირვებდა მისი ასეთი მორთულობა, ვინ იდნან აკაკი ჩხენკელი მათ სხვაფერ ჰყავდათ წარმოდგენილი.

მორიელი.

# მ მ მ მ მ მ

აღმეძრა კვალად სურვილი დაეწერო ერთი შარადა.  
(ამ დარგში კოლო-ეშმაკმა თუ არ მცნეს მეტიჩარადა.)

ჯერ სიტყვის კავშირს მივაწერთ  
— ბოლოდან ერთსა ასოსა,  
ქორანიკოში ორმოცად თავი რომ დაიფასოსა.

მერე რაც გვინდა იგი მთელს ჭვეყანას მოდებულისა ყოვლის შემძლეა და ბაწა ღმერთადაც წოდებულისა. დღევანდელ წარმოებისა ის არის საფუძველი, და შემდგეშიაც კარგა ხანს

იქნება უმეველია.

რაზედაც ვამბობ მკითხველთათვის ვგონებ რომ უკვე იცია, მაშ ამის წინა ნახევარს ჩვენ ვუქნათ რეკვიზიცია.

ხომ იცით მკის დროს ყანებში რომ ჰქვრენ ულოთი კონებსა, ჩვენში მათ სახელს (მრავლობითს) ყველა კი მოიგონებსა. ამ სიტყვის ბოლო ანბანი რადგანაც ჩვენთვის მეტია, ამიტომ წაშლაც იმისი ადვილი გასამეტია.

აწ იარალი გვეპირდება სასოფლო, რკინეულია, ნუ ფიქრობთ იყოს წერაქვი ან წალდი ან და ცულია. თიბათვის დამდგეს ყოველთვის მას ელესება პირია და იქ ელფარებს საღაც რომ ნორჩი ბალახი ხშირია. მაშ ესეც რიგზე დაესწეროთ არ უნდა ლაპარაკია ვულფთხილდეთ წინა ანბნის მეტს არ შეხედეს ფათერაკია.

აქ ერთი ასოც დაესწეროთ (ჩქარა, თათარიხანდა), სევა, გარდა მეთერთმეტისი, შარადას ავნებს, არ ქნათა.

ეხლა გამომეყო, შევადლოთ ეკლესიისა კარია, (არვინ დაგვიშლის თუ უხვად გაგიღეთ საჩუქარია), იქ ერთი ღიღი წიგნია ქრისტიანობის ბურჯია, მას „სჯიან“ ანათემათი ვინ ხდება მისი უჩრია ამ წიგნის შუა გაქრა. პირდაპირ ჩვენი ვალია, მხოლოდ მის წინ ნაწილზე



კი ნუ დაგრჩებთ თვალთა.  
 ის ხუცებს ჰქონდეს, ჩვენ, ბოლო  
 საქმე არ არის ძნელია  
 და მეტი აღარც გვექნება  
 სხვა რამე საძებნელია.

ვანებოთ თავი წერასა, შარადა უკვე მთელია,  
 გავიგოთ მხოლოდ თუ იგი რა აზრის გამოთქმელია.  
 რუსეთის მცხოვრებთ მესხიად ყავთ მიჩნეული იგია  
 და საიმიოსოც ყოველგან იწყება თადარიგია.  
 ის უნდა გახდეს რუსეთის ბატონ-პატრონი სრულია  
 და იმის ხსნისთვის ვადაღვას ნაბიჯი გაბედულია.

კახი.

# გუხის თავები

გაზეთ „საქართველოს“ მოჰყავს „ეროვნულ დემოკრატიული“ გაზეთის (ინფენი ქვეყანას) აზრი. სხვათა შორის აი იმ „აზრის“ ნაწილი.

„დაე საქართველომ აგრძნოს, რომ ჩხვიძე და წერეთელი, რომელთაც მან ნახა უმჯერა, შიში პარმუშო შეიღებო აზრან. რომ მისთვის სამსახურს ეწყვიან...“

მაგარი შუბლი აღბათ მაშინ იყო კარგი, როდესაც ადამიანები ყოჩებივით თავით იბრძოდნენ, დღეს კი ეს გარემოება სრულიადაც არ ნიშნავს განსაკუთრებულ ღირსებას თავისას.

მართლაც სასაცილო არ არის ამ ბრძენი ხალხის აზრი? ნუ თუ ვერ გაიგეს, რომ საქართველო, (არა ის რომელსაც ნაციონალდემოკრატები აშენებენ და ამშვენებენ) ნამდვილი საქართველო, ცხრა მეთედი ქართველი ერისა გრძნობს, რომ მისი ღირსეული წარმომადგენლები მისთვის თავგანწირულ სამსახურს ეწყვიან, რომ ყოველი მათი ტკივილი ეს იმათი ტკივილიც არის“ დიახ, ამას გრძნობს მთელი საქართველო, გრძნობს და ყოველი თავისი მოქმედებით ამტკიცებს ამ თავის სათუთ გრძნობას და

თუ თითოა ოროლა მუხისთავოსანი ამას ვერა ხედავს და ვერა გრძნობს, დანაშაულოთ ეს, ყოველ შემთხვევაში, საქართველოს არ ჩათვლება.

# დასაწყისი და დასასრული.

სულ რაღაც ხუთი—ექვსი თვის ამბავია. სახალხო სახლში პირველი თავისუფალი სოციალ—დემოკრატიული კრება იყო. ჯურღმულბესა და სასტიკ კონსპირაციას მიჩვეული ხალხი უცხვერ შერიგობდა ასეთ აშკარა, მრავალ რიცხვიან კრების ხილვას და მე პირველს უნებლიეთ მომიბრუნდებოდა ხოლმე უკან, კარებისაკენ, თვალები, როცა ახალი ვინმე შემოვიდოდა: აღბათ იმის შიშით, რა არის პოლიცია არ დაგვეცესო.

კრება წესდების პროექტს იხილავდა. პროექტის მომხსენებელი, ნოე რამიშვილი, მუხლ მუხლოთ კითხულობდა მს და თითოეული ახალი მუხლი ახალსა და ხალისიან კამათს იწყებდა. ჩვეულებდისამებრ ჯერ ერთი ორატორი გამოსთქვამდა თავის აზრს, მერე მეორე გამოიბრუნებდა უკვე გამოთქმულს, შემდეგ მესამე და წინააღმდეგ განმეორების კანონებისა ესენი უფრო ართულბდნენ და აბნელებდნენ გამოთქმულ აზრს.

ჯერი მიღვა „პარტიის წევრობის“ საკითხზე. წესდების პროექტში ეს მუხლი მკაფიოთ იყო გარკვეული და სხვათა შორის ეწერა: პარტიის წევრათ არ მიიღება ის, ვისაც წარსული საეჭვო აქვსო და სხ. რასაკვირველია ამ მუხლმაც ჩვეულებრივი კამათი გამოიწვია და დიდი უპრავლესობა იმ აზრის მომხრე იყო, რომ წევრის მიღება განსაკუთრებულის გარჩევით მომხდარიყო.

კრებაზე ჩემი ყურადღება ერთმა დაბალ—დაბალმა, თმა ხუტუტმა ორატორმა მიიპყრო. იმან ყველა მუხლის შესახებ ილაპარაკა, უმთავრესად ის იმეორებდა სხვის ნათქვამს და წვრილი მკახე ხმით ყურს ერთობ აწუხებდა. მე განსაკუთრებით ვღვენდები ყურადღებას იმდინდელ კამათს და არ მკვირებდა ამ თმაქუჩუნმა ორატორის ასეთი ენერგიული განმეორებითი მოღვაწეობა.

- ნეტავ თუ იტყვის საკუთარს რასმე ეს ყმაწვილი? შევეკითხე ჩემს მეზობელს.
- რომელი? ქვთაძე?
- არ ვიცი გვარი... აი ახლა რა დაჯდა?
- ის ქვთაძეა. ვინ იცის, შეიძლება თავისიც გამოუბრძოს, დიმილით წარმოსთქვა ჩემმა მეზობელმა!



ის მართალი გამოდგა. სწორეთ უკანასკნელ საკითხის დროს, განსაკუთრებული მღელვარება დაეტყო მის სიტყვას. კარგა ხანს ილაპარაკა იმის შესახებ, რომ პარტია ძლიერი იქნება, თუ მგტი წევრი ეყოლება და ძლიერება სასარგებლოა თვით პარტიისათვის...

— ამისთვის, ამხანაგებო, — განაგრძო მან, — მე წინადადება შემომაქვს პარტის წევრობაზე უარი არ ეთქვას ყოფილ შინაგარეობებს და ექსპობრობა-ტორებს, ვინაიდან ისინი ძველმა უკუღმართმა პირობებმა წარმოშვა“.

ღარაბაში უკმაყოფილების გუგუნე გაისმა. წარმოიდგინეთ მეც კი ავღელდი და ორატორის შესახებ მეკვები დამებდა.

მის შემდეგ კარგა ხანი გავიდა. კრებებზე ის ორატორი არსად მინახავს, ვინაიდან შემაძულა კრებები და აღარ დავდიიდი. კახეთში ყოფნის დროს გავიგე, რომ ის საბოტაჟის კომისრათ დაენიშნათ. უნებლიეთ მომავლად მისი შეხედულება „პარტიის წევრობაზე“ და აქედან წარმოვიდგინე მისი შეხედულება კომისარობაზე. — საბარლო გარეთ — კახეთი, რა უბედობა სწვევია მეთქი! განვივლე გულში და ველოდი დასასრულს. ისიც გამოჩნდა. გახეთი „ერთობის“ მე 179 ნომერში სწერია:

**„ბოტკომიტეტი კომისარი.** თფილისის მაზრის კომისარს ამხ. ლ. ასათიანს ხშირად მოსდიოდა ცნობები სართიქალის რაიონის კომისარის ათანასე ქვათაძის ბოროტბოტკომიტეტის შესახებ. ამხ. ლ. ასათიანმა ეს ამბავი აცნობა ს.დ. საოლქო კომიტეტს. საოლქო კომიტეტმა სინამდვილის გამორკვევა დაავალა ამხ. ან. ქიაბეროვს, რომელმაც კომისარ ლ. ასათიანთან ერთად ადგილობრივ გამომიძია საქმე და მდლობჩინა, რომ ა. ქვათაძე მართლაც სჩადიოდა თურმე ბოროტ-მოქმედებას. ქვათაძე უკვე გააძევეს სამსახურიდან, მის საქმეს გაარჩევს აგრეთვე ს. დ. საოლქო კომიტეტი. დაითხოვეს სამსახურიდან აგრეთვე სართიქალის სოფლის კომისარი და მისი მწერალი, რომელსაც ბრალდებათ ქვათაძის ბოროტ-მოქმედებაში მონაწილეობა“.

აი დასასრულიც. კიდევ კარგი თუ ეს დასასრული იქნება და კომისარი ქვათაძე სოციალ — დე-

მოკრატულ პარტიას კლავ ზღარ დაშაშინებს. რას იზამ ერთ პატარა კაცუნას იმდენი ტლახის მოცხება შეუძლია, რომ მის ჩამორტყხას ათი-თორმეტი წარჩინებულიც ვეღარ შესძლებს. ეს ერთი, მაგრამ შეიძლება კიდევ არიან სადმე სხვა ქვათაძეები. ისინი ამხანაგის ქურქში გახვეული მესაფლაფენი არიან იმ პარტიის, რომლის სახელსაც მხოლოდ საქეთათმეთო შეაფარეს თავი. გახადეთ ეს ქურქი მათ, და მზის სინათლეზე გამოიყვანეთ ასეთი ვაჟ — ბატონები.

**გაირვეული ვანუა.**

# ჩ ე მ ი „ის“:

**ა. პ. ჩეხოვი.**

(გუძღვნი ჩემს თავს.)

„ის“, როგორც ავტორიტეტულად ამტკიცებენ ჩემი მშობლები და უფროსები ჩემზე უფრო ადრე დაბადებულა. მართალია თუ არა ისენი ამ შემთხვევაში, მე არ ვიცი, მხოლოდ ეს ვი ვიცი, რომ მე არ მახსოვს ჩემი სიცოცხლის არც ერთი დღე, რომ მისი ძალა-გაფლენა არ მეგრანძნო, ან და მისი კუთვნილება არ ვყოფილიყავი. ის არ მშობრდება არც დღე, არც ღამე; არც მე არასდროს გამივილია გულში მისგან გაგქეუულიყავი, მას დავშობრებოდი. როგორც ხედავთ ჩემი დამოკიდებულება მეტად დეკორა და უფრუყველია. მაგრამ ნუ შეგშურდებთ ჩვენი ასეთი კავშირი ახალგაზდა გასათხოვარ-მითვისებლო ქალო! ამ გულის ამაჟუყბელ კავშირს უბედურების მეტი არაფერი მოაქვს ჩემთვის. ერთი რომ ჩემი „ის“ დლიან-დამიან ჩემგან განუყრელია, არ მიძღვეს ნებას რაიმე საქმეს მოეკიდო ხელი. ის მიშლის მე წერას, კითხვას სერიზობას, ბუნების სილამაზით დატკობას.. აი თუგინდებხლა, მე ამ სტიქიანებს ვწერ და ის კი გვერდში მიდგას, ყოველ წამში იდაყვზე ხელს წაჭკრავს, და როგორც ძველად მშვენიერი კლენ-პატარა არა ნაკლებ მშვენიერ ანტონიონს, -სარტკელისაკენ მიმიხმობს. მეოჲედ, ის არღვევს ჩემს სიმდიდრეს, როგორც ფრანგი კოკეტკა. მის ჩემდამი სიყვარულს ყველაფერი მსხვერპლად შევსწირე: კარიერა, სახელი, კამფორტი. მისი წყალობით ჩამოგლეჯილი და


საარჩევნო



ტრიბუნა კადეტისათვის.




# ტრიბუნები.



ტრიბუნა ბურჟუასათვის.



ტრიბუნა ანარქისტისათვის.



შიშველი დადივარ, ვცხოვრობ იაფ ფასიან სახლ-  
ბში, ესაზრდოობ დომხალით, ვწერა მკრთალი მელ-  
ნით. ყველაფერს, ყველაფერს ნთქავს ის გაუმადლარი  
მე ის საშინლად მძაგს, მეზიზღება... მე დიდი ხა-  
ნია უნდა გავყროდი მას, მაგრამ თუ ვერ გავყარე  
არა იმისთვის, რომ მოსკოვის ვეჟილები ვაყრის-  
თვის ოთხი ათასს მანეთს ღებულაობენ, არა... შეი-  
ლები ჯერ არ გვყავს. მაგრამ იქნებ გსურთ მისი  
სახელის გაგება? სიამოვნებით ვეტყვიო! ის ცოტა  
არ იყოს ეოეტურია და მოგვაგონებს სირინოზს,  
სირს, ზარას... მას ეძახიან **სიზარმაცეს**.

პოდბიენტა

გააენებამდის ბუტაუტებს  
მკვლარს თავით მიუჯდებოა,  
მღვდელი კი სახლში ნებიგრობს  
მას არაა ენაღვლებოა.

აროდესაც მიაქვთ მარხავენ  
მსუქან ქელესსაც მართავენ  
ღიაკვანი თუ ხმას იღებს  
საბრალოს მაგრა ლანძღავენ

აღ. რუის-პირელი.

### წერილი ს. იანეთიძის.

(ქუთაისის მახრა)

### მღვდელ-დაკვნის საჩივარი

ღიაკვანმა უთხრა მღვდელსა:  
მამავ, რა გვემართებაო,  
არც ქორწილია, არც ნათვლა,  
იღარც არაფერ კვდებაო.

მღვდელმა მიუგო პასუხათ:  
— გული ნუ გაგიტყდებაო,  
მალე ხოლერა გაჩნდება  
მაზანდა გავვეხსნებაო.

ჩაფქვრდა თავი ღიაკვნი:  
მაზანდა რასა მრჩებაო:  
თვეში ერთ მკვლარსა დავმარხავთ  
ისიც ნისიით რჩებაო.

მღვდელი თავისას ინაღდებს  
ღიაკვანს ეკარგებაო,  
ქელესშიც რიგზე გაძდება  
ტაბლაჲც შინ ეგზავნებაო,

საბრალო ღიაკვანია,  
ხაშლამაზედა \*) კვდებაო  
თუ საღავეთნოს მისცემენ  
წყალობაჲც ის იქნებაო

მატარებლიდან ჩამოხვალა,  
იქ სტოლი იდგომილება  
ამ სტოლითან კაცი, ან ქალი  
უთოოდ იჯლომილება.  
მათრახი უნდა ორივეს  
ნურტურთის მოგერილება,  
ერთი ხელობის არიან  
არ გვემართებს მათი ღიდება.  
მატარებლისა ბილეთებს  
1 ოჩერედობით \* ჰყლიან.  
მატარებელი რომ წაეა  
ხშირათ მას შემდეგ მოღიან.  
და თუ აღრიან მოვიდენ  
თავიანთი აქვთ წესები:  
„ხურდა არ გვაქსო იციან“  
სხედენ თვალ დანაცემები.  
მეეტლებსა ვრიდენ  
ემშაკო, შენსა ლენასა,  
თორემ შეგამთხვევს ტალი  
უზომო ცრემლთა ღენასა.  
იქვე ახლორემ, მამობილო,  
სამიკიტნოა დებული  
ღამე ჩამოხვალა, ან თუ ღდე  
ის მუღამ არის ღებული.  
იქ მოქიფეთ შეხედები  
მირემ მორეკე სახლებში:

\*) ეს ლექსი დაწერილია იმ დროს, როცა ხაშლამის  
აგდებულათ მოხსენება შეადგებოდა. დღეს რასაკვირვებელია  
ასეთი კადრ ხაშლამის შესახებ შეუწყნარებელია.



ეროვნული  
აღმშრომლები

# მ ი ნ ი

(ქახეთისთვის)

სცენა ერთ მოქმედებათ

მოქმედება სწარმოებს სოფლის გარეთ, რკინის გზის  
სადგურის მახლობლათ, მივიტინს ღუქანში.

სახელს და გვარსა ნუ ჰკითხავ  
გამონათქმვეს ახლებში.  
იქვეა „ჯანცელარია“  
სად კომისარი კანონსშობს,  
სადაცა ძველი რევიმის  
გერმან მწერალი კალმოსნობს.  
მთარაზი იმას არ გაჰკარა  
რადგან ჰალარა კაცია,  
უთხარი მხოლოდ ძველსა დროს  
ნუ მოგვაგონებს აწია.  
კოპერატივი გვერდში აქვს  
სახელწოდებით „ჩვენი ცლა“  
სახელს უთუოდ ღირსად სცნობ  
თუ კი იქ ფეხი მიგიცდა.  
ორმოცდა ათი სეცენით:  
შკოლავა დაშორებული  
იკითხეთ მისწავლებელი  
სამსონი ჩვენი, ქებულა  
მთარაზი გაუწუკაუნე  
ჩხვა ფრივ კამათი მეტია  
თუ მოგიღიროს „ლივერი“  
შეუწუნე, ბავში ცეტია,  
შესაშინებლათ იქნება  
გუშინ დასცალა ტყვიები,  
ქუჩაში რომ მიდიოდა  
ღვინისგან შენაზიები.

მომქმედ

პირნი:

არტო — მეღუქმე.  
საშა — მე 6 კლასის გიმნაზიელი.  
მიშა — სტუდენტი.  
შაფვა — აზნაური.  
ვართანა — მეჩქქმე.  
მიტრაფანა — მუისრე.  
შაქრო — ღუქანის ბიჭი.

აქაური.

**არტო.** (საღამო ხანია მარტოთ სდგას ღუქან-  
ში. ხელში ჰაჭვზე გამომბუღლის ვასაღები უქირავს  
და სალოკ თითხედ ატრიალებს). ვაა, ვისაც კი  
ცოტა მარიდვითი აქ, პირქაღლი ვიყო თუ ამ დრო-  
ში ქახეთისთანა ფულის მრასაგები ალაგი ვერობაში  
იყოს. არა, მე შენ ვითხრა წარა მართა სალდათებ-  
მა პავრომი არ მიყონ, აი!. Здесь ни цареки  
КОЛОДЦИ... დმერთმა ააშენოს ჩემი მუშტრის ოჯა-  
ხი. კრუგამ მირნი ხალხია ვა, ან რა ზლო შეუძ-  
ლიანთ რკინის გზის სლუფანჩიკებს? მართალია,  
ხან და ხან ჩემი გიეი კნიაზები მაჯავრებენ, ჰამა  
ეს ხომ პუსტიაკია. ვარ ჩემთვის სევეი ვოზდუხზე  
დავიგებ ოხრათ.

(შემოდინ საშა, მიშა, შალვა და ვართანა)

საშა, მიშა, შალვა და ვართანა (ერთათ)  
გამარჯობა, არტოჯან!

**არტო.** ოჰ გაგიმარჯოთ ჩემო გვრიტებო.  
რას მიირთმევთ გენაცვალეთ სახეში?

**ვართანა.** რას მივირთმევთ, შე კაო კაცო,  
გონია ჩვენც ახლად გამოცემული ას თუმნიანები  
გვილაგია ჯიბეში. (თან უახლოვდებიან მაგიდას და  
სხდებიან).

**არტო.** ვაი, მე თქვენ გენაცვალე, მე თქვენი  
სამხთო ვიყო, ნუშქელი მე თქვენისთანა ქორაი.

კებს ფულს არ ვენდობი? თქვენ ბრძანეთ რა მოვართოთ...

**შალვა.** ვის აპყობიხარ არტოჯან! ას თუმნიანი თუ არა, დავიჯერო ერთი ორი ხუთ მანეთიანი აღარ გვიგდია?.. მოგვიტა ჯერ ჯერობით ორი ბოთლი სანამ ვასაფუქნებელი ვინმე შემოყოფდეს თავს.

**არტო.** შაქრო! (შემოდის ბიჭი) ორი ბოთლი ღვინო მაართი ამ ბუღბუღებს თავის ზაკუსკით.

**მიშა.** შაქრო, მაშ ერთი შამფური მწვადიც შეგვიწვი ბარემ. (შაქრო მოდის და საჩქაოდ მოაქვს ორი ბოთლი ღვინო და თევშით „ზაკუსკა“).

**შაქრო.** კინაზჯან, მწვადიც მალე იქნება.

**ვართანა.** (ისხამს ღვინოს) ვაა, რა ღვინოა... კანაიკი რაღა, ანიაიკი ვინც არ დაღვეს დღეა მოუკვდება.

**შალვა.** (იღებს ქიქს) მაშ ღმერთმა აცოცხლოს ამ ღუქნის კეთილი ანგელოზი.

**საშა-მიშა ვართანა.** იღებენ (ქიქებს) ამინ. (სვამენ).

**საშა.** Вино . хорошее.

**მიშა.** კარგია მხოლოდ ჩაღის გემო აქვს.

**ვართანა.** (ასხამს ღვინოს) მაშ იცით რას ვიტყვი ძმებოჯან.. ღმერთმა აცოცხლოს ის კაცი, რომელიც რომა ჩვენზე ავს გაიგონებს და კარგს კი იტყვის (სვამს).

**საშა, მიშა და შალვა** ამინ. (სვამენ თან ას ხამენ) (შემოდის მიტროფანა).

**მიტროფანა.** Здорово, Арто! дай мнѣ стаканчикъ. (არტო ასხამს ღვინოს, მიტროფანა დაღვეს, და სდამს კიქას).

**მიტროფანა.** Вот понимаю вино! (იღებს საფულეს, ხსნის და აძლევს არტოს სამიანს რომლის გარდა სხვაც ბგერი უჩანს ფული).

(არტო მითბრუნდება დახალს ხურდისთვის)

**შალვა.** (ვართანას) ბიჭო, ეს რუსი რა შესაკრია და...

**ვართანა.** ჰა, უჩაავის?

**შალვა.** ოხრათ უჩხავის, ოხრათ.

(არტო ხურდას აძლევს მიტროფანს. ამ დროს ადგება ვართანა და დიდი ხმით ამბობს სადღეგრძელოს, რითაც იქცევს უკანასკნელის ყურადღებას).

**ვართანა.** Товарищи! За здорови наши

революци, дай Богъ штебъ такъ давихпоръ всяки началикъ станция и такъ дали сидить на шея наши товарища (ხელს იშვეზს მიტროფანისკენ) теперь самъ работи сидить такъ на шеѣ начальика. (სვამს და ჯდება, მიტროფანა გაშტერებული შესცქერის).

**საშა, მიშა და შალვა.** Дай Богъ (სვამენ).

**ვართანა.** (ცოტა ხნის მერე მიუბრუნდება მიტროფანს) Товарищ! если можна на стаканчикъ винца, пожалуста (თან ასხამს).

**შალვა.** არტო! ორიც მოიტა. მიტროფანა მაგიდას უახლოვდება, ვართანა სთავაზობს ღვინოს. ამავე დროს არტოს მოაქვს სკამი და ქიქა მიტროფანასთვის).

**მიტროფანა.** (ართამებს ქიქას) Ну товарищи, будьте здоровы, склоси და აპირობს წასვლას).

**ვართანა.** Товарищи, ми тоже работи люди, садись снамъ если можна будимъ ъмести сегодня кушитъ. (შაქრო მოიტანს ღვინოს და მწვადს თავის პურით და გავა).

**მიტროფანა** (გადახედავს მწვადს). Пожалуй-ста, съ удовольствіемъ (ჯდება).

**შალვა** (ასხამს ღვინოს ღიმილით) მოიღა ქეოი!..

**მიშა.** Господа, за здоровье нашего но-ваго товарища (სკლის).

**საშა, შალვა და ვართანა.** За Ваше здоравье. (სვამენ).

**მიტროფანა.** Спасиго, будьте здоровы. (იღებს ქიქს და სკლის).

**საშა.** (შემოსძახებს, მიშა ბანს აძლევს).

„Вышли мы все изъ народа

Дѣти семьи трудовой.

Братекій союзъ и свобода—

Вотъ нашъ девизъ боевой.

**ვართანა** (მიტროფანას). Товарищъ, мы все пилъ твои здоровья а ты нашъ нѣтъ, для этого теби следуютъ большія стаканъ, чтобы все наши здоровія вмести випишь.

**მიტროფანა.** Пожалуйста, съ удовольствіемъ (არტოს მოაქვს დიდი ქიქა).

**საშა** (ასხამს ღვინოს დიდ ქიქაში). Киръша! ცუფო და ლხინშიაც ამ რუსს ეს სტაქანი.



სიმღერები

მიტროფანა (იღებს ღიღ კიქას). Дай Богъ вамъ всѣмъ здоровья. (სკლის, ცოცა ხნის შემდეგ უკვებ დაიძახებს) Арто! Дай намъ бутылочкѣ шесть винца. (არტოს მოაქვს ექვსი ბოთლი, თან ეკითხება მიტროფანს). Что ищо прикажишь дупа джанъ?

მიტროფანა. Говорить нужно? Дай намъ чѣмъ нибуть позакусить. (არტო მიტრის და თვითონ მოაქვს საჩქაროთ სინით ქათმის ხორცი თანაც პური).

შალვა (შებნდვს ქათმის ხორცს). მოიდა ქეფი..

ვართანა. Товарищи, за здорови эти секунди, которой секунда ми увидилъ Митрофанъ (სვამს). Ви тоже безъ капли.

საშა, მიშა და შალვა. ამინ—(სკლიან კიქებს).

მიტროფანა. Спасибо за любезность (სკლის კიქას, ნახევარი ნიკაზე ეღვრება).

მიშა (მღერის მარტოთ, სხვები ქათმის ხორცი შექეცვიან).

Пришли мы всѣ веселиться,  
Митрофанъ нашъ дорогой!  
Вино, шашлыкъ и курица—  
Вотъ нашъ девизъ боевой.

(სიმღერის შემდეგ არტო ეკითხება მიტროფანს, რომელიც უკვე მივრალია).

არტო. Митрофанъ джанъ, я твой жертва буду, что ищо изволишь?

მიტროფანა. Дай, все что есть только. (არტუა სიხარულით თვითონ ვადის მოსატანათ მეორე ოთახში. ამ დროს ვართანა გადახეხვება მიტროფანს და აცლის უზიდან საფულეს. იღებს მთელ ფულს და ცარიელს უღებს უბეში).

შალვა. აბა თითოც ძმებოჯან! Митрофанъ, что вы задумались... пьемъ..

მიტროფანა (იღებს კიქას). Товарищи... знаетс.. что... я... сна.. а... ж... ж... (ენა უღვება. აღარ ათავებს სიტყვასა და სვამს).

ვართანა, მიშა, საშა და შალვა. Дай Богъ (სვამენ).

(არტოს მოაქვს მწვადი სინით).

შალვა (მწვადის დანახვაზე). მოიდა ქეფი!..

(თანაც უსტვენს კინტოურს, რა ზეგნით კე ჟურავს მაგიდაზე).

ვართანა, მიშა და საშა (თამაშობენ ჯერჯერით).

მიშა (მიტროფანს, რომელსაც სკამზე სძინავს). Что уже пьянь товарищъ?

მიტროფანა (გაახელს თვალებს) Кто пьянь?... Арто! дай ложину винца. (არტოს მოაქვს 8 ცარიელი და 4 სავსე ბოთლი ღვინო).

მიტროფანა (იღებს კიქას). За здоровье... тѣхъ... кто... (ველარ ათავებს და სვამს. სვამენ დანახუნებშიც, რომელნიც უკვე მივრალეები არიან).

საშა, მიშა და შალვა (ერთმანეთს) წავიდეთ ხეირი აღარ არი.

ვართანა. არტო!

არტო. ჰაჯან!

ვართანა. რა გვრგება, არტოჯან!

არტო. (ანგარიშობს) ოთხი ბოთლი მანეთი-ხევრობაზე 6 მან. ორი გირვანქა სამწვადე თავის ნახშირით 7 აბაზი, პურიც თავის ისემით სამი აბაზი. სულ 8 მან. ესე რაღა ვართანჯან თქვენგან სულ 8 მანეთი.

ვართანა (ყსილდათ). არტოჯან, გინდა მთელი დანახარჯი მე გაგისწორდე. იქნებ ამ რუსმა გაჯაჯანჯლოს.

არტო. ვაა, რასა ბრძანებ? ვაიმე, ვაიმე, მოგიკვდე თუ მე ვიკისრო მე ვიცი და მეგ რუსმა.

ვართანა (მოპარულ ფულიდან აძღვეს არტოს თუნინის). აჰა, არტოჯან თუნინანი შიიდე. ხეირი ნახე.

არტო. მადლობელი ვარ, თქვენი თავი მიცოცხლოს...

ვართანა. (ამხანაგებს). წავიდეთ ძმებოჯან (მიღიან და თან მღერიან: Пришли мы всѣ веселиться... დუქანში რჩებიან არტო და მიტროფანა, რომელსაც სიმღერაზედაც აღარ გამოეღვიძა).

არტო. აბა ახლა ამ ხახოლას მოვთხოვო რაზნოტი და. (ანგარიშობს) 18 ბოთლი ორ მანეთობაზე—38 მანეთი, ერთი ქათამი ოთხი გირვანქა მწვადით თავის ნახშირით 8 მან. ხვალე დილათაც პიბმელიაზე ერთ-ორ არაყს დაღვეს ესეც მანეთი სულ 45 მან. იფ... ვაპრობაც ესე უნდა... მე და ჩემმა ღმერთმა. (თან უზიდან აცლის საფულეს, მაგრამ დაინახავს რა შიგ აღარაფერია გაშეშდე-



ბა) ვაა, ერთი ჰაოო!.. ეს რა ოინი მიყვეს ჩემმა  
 ჟორციებმა ვერ ლყურებ? ვა ჩქარა მიინც ვავ-  
 თროო ეს ოხერი აქედან. არავინ დანიახოს. ჰამაც  
 გვრნებათ მე ვავკარცვე. (აღვიძებს) მიტროფან!  
 სლუჟი, მიტროფან!

მიტროფანა (თვალბ დახუჭული). Что..  
 таково!..

არტო (ჯავრი მოსდის). ვა, ты думишь  
 многа буду говорить штотли (ავლებს ხელს და  
 მიათრევს კარბთან, საიდანაც ჰკრავს ხელსა და  
 კარში ავლებს, ისმის მიტროფანის ხმა). Что тол-  
 кашься саленый черть.

ჯიბილა.

## ქართველ მწერალთა მოწოდება

ბუნების კალთაზე ტურფა სასძლოსავით მორ-  
 თულა სხივ-ფენილი სამშობლო შენი.

უზარმაზარი მთების დიდებული ყინულის ჯი-  
 ლა ათას-ფერად ბრწყინვალებს მზის სხივებზე და  
 თოვლის უბიწო, თეთრი ლეჩაქი მის დაფენებათ  
 კობტათ გადაფარებია. ამ მთების ჩიხტსა უშველფე-  
 ბელი, მწვანე ტყეების ზურმუხტი ძვირფას ქინძის-  
 თავად ზედმისდგომია, ხოლო ქვევით ვერცხლისე-  
 ბური კამკამა მდინარეები, ვით ოქსინოს ძვირფასი  
 სარტყელი, ორ-ტოტათ გაყოფილი, მიმჩქეფარებს.  
 მთელი კაბა მწვანე ხაერდისია, ხოლო ზედ ბუნე-  
 ბითის ხელოვნებით ამოქარგულია შრავალეფერი  
 ვარდი და ყვავილი. ქოშებს კი თავის ღრმა ფსკე-  
 რიდან ამოტანილ მარგალიტებით შავი ზღვა რთავს  
 და ჰკაზმავს.

და აქ გაჩენილხარ შენ, საქართველოს შვილო:  
 ლამაზი, ჰაეროვანი, გონიერი და ნიჭით შემკული.  
 ხოლო გაჩენიდანვე შეგყვარებთან ტრფიალი  
 მშვენიერებისა.

ეს ყოფილა შენი ზხად-მყვანი, მაკოცხლებელი  
 და ზოგჯერ დამტანჯველიც—ეს მშვენიერების  
 ტრფობა.

ეს გაგიღესია, ეს გიმღერია, ამაზე გიწერია,  
 მისთვის გიცეკვნია, მისთვის გიხატავს და გიშენებია.

ამის ამბობს შენი ზღაპრული მითქმელობის  
 შენი წიგნი, ამის მოწმე და მაკურთხეველი შენი  
 ცამდე ასხლეტილი, ტან-წერწეტა, კობტა ტაძრები,  
 ამასვე ბეგრს შენი რძლისპირნი და სუფრულ-მაყ-  
 რულები.

ამესალომ და ეთერის გულ-მომწყველ ამბი-  
 დან რუსთაველის ქნარამდე ამაღლდი და შემოშ-  
 ქმედი ხელმწიფებით გადმოგვეც ღიადი ტრფობა  
 შევენების: უზენაესი მაღლი სიყვარულისა.

ხოლო ყოველთვის ცისკროვანი არ იყო შენი  
 ბედი. და აი შენი ცხოვრების დრუბლებზე შენვე  
 შეთხზე უკვდავი ლეგენდა ამირანისა!

ეს იყო შენი სულის კვნესა: გამირული ამო-  
 ხებრა და იმავე დროს შეება შენი განსაცდლის  
 ეამს.

როდესაც ხელს არავინ და არაფერი არ უშ-  
 ლიდა შენს მოწოდებას არც გარეშე და არც ში-  
 ნა მტერი, მაშინ შენი შეპოქმედება იყო მკვეთრი  
 და გრძნობს ამმაღლებელი. მაშინ გველინებოდნენ  
 ნწქერნი შვილნი ყოველს სფეროში შენის არსე-  
 ბობისა, სრულად და ფართოდ ხიარობდი ბუნების  
 მიერ მომადლებულ ამა მაღალთა ნიჭთა და იყავ  
 ძლიერი კულტურით.

გარნა, როდესაც გარეშე მტერი დაგჩაგრავდა,  
 ან შინა გახეთქის და დაქსასვის ქირი მოგედებო-  
 და, მაშინ ეცემოდა შენი ლექსთა წყობაც შენი  
 ტაძრების მწყაზრული აღნაგობაც—ძველებურად  
 ველარა ჰქმნიდა შენი მხატვრობა, შენი ფერთა  
 სიღებავეები, შენი მწიგნობრობა, შენი მუსიკალო-  
 ბაც და ხელოვნებაში დონე მიხდილი, სუსტი იყავ  
 მეცნიერებაში, უძღლონი სახელმწიფო ცხოვრებაში.  
 აღარც მაღალ-ნიჭიერი სარღლები, აღარც ფილო-  
 სოფოს პეტრიწები, აღარც წინასწარმეტყველურად  
 სულთ ახოვანი გიორგი მთაწმინდელეები და აღარც  
 ხელოვნების მეფე რუსთაველი.

იღრუბლებოდა შენს ცხოვრებაში, დამდებო-  
 და და მხოლოდ და ოხერით იხსენიებდა კვლავ  
 ამირანსა.

მაგრამ ისე მაინც არასოდეს არ შექოლამებუ-  
 ლა, როგორც მთელი წარსული საუკუნის განმავ-  
 ლობაში, რუსთმ ბატონობის დროს:

შენი ტაძრები ჩამო ნგრა, საუტხოვო ნაჭები  
 ციხე-დარბაზი ვანადგურდა და გაუქმდა, კედლის  
 ძვირფასი მხატვრობანი წიხილა და შვიბოლაო,



მარტვილი

თავისებურობით აღბეჭდილი ჩუქურთმები და ხრახნილები მოირიდა, ბეჭა ოპიზარისა და მისებრ მაღალ ნიჭიერ ხელოვანთა მიერ ნაჭედი და ჩამოსხმული განძეულობანი გაიბნა და წარტაცებულ იქმნა სხეულის მოხდენილი და მორგებული სამოს-სამკაული მივიწვდა, სიმღერა და ცეკვაც გადაგვარდა. თვით ენა ჩმინდა და ფაქიზი შეირყვნა და მწერლობამაც იწყოა აზროვება სხვისებური, უცხოური; დაჰკარგა თავის თავადობა. ხელოვნებაში მშვენიერების ღმერთის ნაცვლად მოძალადე დეზებიანები ვინმე წამოაგდა მაღალ კვარცხლ-ბეჭეზე.

ნი ქვეყნის მხურვალეობით საყვედურს და ამ უხვად დაფანტულ სხივებ ქვეშ უნდა იგარძნო განახლებული ბედნიერება.

ჩვენ წილით გვხვდა მაღლიანი სიტყვით ვიყით გამომსახველი შენი წმინდა გრძობისა, შენი ფერადი ოცნების, შენი მწუხარების და სიხარულისა. მაგრამ მეტად საგარძობი იყო შენი უკანასკნელი საუკუნის უბედურება, რომ მას უფერობის ბეჭედი არ დაესვა ჩვენი შემოქმედებისათვის...

ჩვენ მზათ ვართ ვიღღესასწაულოთ დასაწყისი შენი სიხარულის და განახლებისა.

ისმინეთ ჩვენი აღსარება:  
არავის და არაფერ არა სჭირდება თავისუფლები ისე, როგორც ხელოვნებას.

სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ირილობა მხურვალე საღამით მოგმართავს შენ, ქართველო ერო, და მოგიწოდებს იხსნა შენი თავი ხანგრძლივ ტყვეობისაგან, გააცოცხო შენი ენა, აღადგინო შენი უფლება, რაინდობა და კეთილშობილი სიამყე და ჩვენც მოგვეცა საშუალება ღირსეულად შევისრულოთ ჩვენი წმინდა მოვალეობა შენსა და უსაყვარლეს სამშობლოს წინაშე.

P. S. ღიახ, საყვარელო სამშობლოც, თვით ეს მოწოდება ნათელყოფს შეილთა შენთა დაკნინებას და უსუსურ ქმნას. ღიამაზ სიტყვათა კორიანტელში გახვეული ქართველ მწერალთა კავშირის გარნა შეუძლია სძლიოს ძვალ-რბილში გამჯდარ ჩვეულებას და სიტყვებით არ ჩაჰქალოს ვისაც მიზანში ამოიღებს? აბა წაიკითხე, ქართველო ერო, ნაცარქექია შეილთა ესე მოწოდება შენდამი და სოქვი; არის იმედი მათი გადარჩენისა, თუ არა. მე კი ეს იმედი უკვე დამეკარგა.

გშაქი.

დაჰკარგე შენი სახე უსახური იქმენი.  
ეს იყო ყველა შენ მიერ გაღვათულ მსხვერპლზე, უსაშინელესი, ყველა შენ მიერ რანთხეულს სისხლზე უმწვავესი.

შენ სულიერ მონად გახდი.  
ამის გარდა, რომ უზარ-მზარ რუსეთის დამცირებულ გუბერნიებათ იქვე, შენ სულიერადაც მისი პროვინცია შეიქმენ, რადგანაც ჩრდილოელის ქუსლ დაღურსმული, ტლანქი საღა მოხვდა შენს ახოვან მკერდს, წააქცია და საკორტნაეთ თვით-მპყრობელობის ორთავა არწივიც მოგენდო.

შენც ისე გამოიცვალე, ისე მოღუნდი, რომ ზოგჯერ ვერცა გრძობდი რა საშინლოთ ჰკორტინდინ შენს სხეულს...

ებლა ძლივს ასრულდა თვით რუსის ხალხის საუკეთესო წადილი თვითმპყრობელობა დაემო და შენც მოგშორდა ის ორთავა არწივი...

ყოველივე ის, რითაც ამჟამად შენს წარსულში და რაც სამუდამით ამართლებს შენს სამშობლოს მსოფლიოს წინაშე, გავაღებს ღღესვე გადსწყვიტო ბედი შენის მომავლისა.

ისტორიის შეუწყვეტელმა ტანჯვამ ვერ ჩაკლა შენი გმირული სული, რომელსაც არასოდეს არ სჭირდებოდა გაცოცხლება ისე, რომორც ღღეს.

ჩრდილოეთის ნისლი უნდა ჩამოსცილდეს შე-



პომლინტ

საღდათი. განა ვასაკერია, რომ ასეთი ფრონტის წინა-  
შე უკან დახევა გვიწევს?